



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 10

ქ. ლანჩხუთი

14. 08. 2019 წელი

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბუკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენელი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ვლადიმერ ნანაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბესიკ ტაბიძე იმყოფება შვებულებაში. აქედან გამომდინარე, დღევანდელ სხდომას თავად წარუძღვება. იქვე განმარტა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის

წინადადების საფუძველზე, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ვლადიმერ ნანაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან განმარტა, რომ ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: საქართველოს მთავრობის განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1500000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი ლარი), რომელიც მიიმართება მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში გაბიონების მოწყობის სამუშაოებზე. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 30 ივლისის N1722 განკარგულებით განხორციელებული ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტს გამოეყო 149882 ლარი ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული სტადიონის რეაბილიტაციაზე, აღნიშნული პროექტების განხორციელებისათვის თანხები უნდა აისახოს ბიუჯეტში. გარდა ამისა, განვილილ საფინანსო პერიოდში გაწეული მიმდინარე ხარჯების ანალიზით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საწვავის ხარჯის დაფინანსება უნდა გაიზარდოს 15000 ლარით, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის - 3000 ლარით, მერიის - 15000 ლარით, ოფისის ხარჯი უნდა გაიზარდოს 19500 ლარით, მ.შ. (ელ.ენერჯის ხარჯი 4000 ლარი, გაზის 7000 ლარი, საკანცელარიო ხარჯი 4500 ლარი, ფოსტის მომსახურება 2000 ლარი, კარტრიჯის შეძენა 2000 ლარი). ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასის ფონდი გაიზარდოს 13180 ლარით. ხარჯების დაფინანსება განხორციელდება არაფინანსური აქტივების მუხლის 25000 ლარით და მერიის ხელფასის ფონდის 40680 ლარით შემცირების ხარჯზე. მან ასევე განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილების მისაღებად საჭიროა ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

საკრებულოს წევრი იოსებ ჩხაიძე დაინტერესდა, თუ რომელი სტადიონისთვის იყო გამოყოფილი

149882 ლარი და შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასის ფონდი რომელი სახელფასო ფონდის შემცირების ხარჯზე იზრდება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე დაინტერესდა, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1 500 000 ლარი მხოლოდ გაბიონების მოწყობას მოხმარდებოდა თუ სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც იქნება გათვალისწინებული.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიაძე განმარტა, რომ 149882 ლარი გამოყოფილია ქ.ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული ე.წ. ჟორდანიას სტადიონის რეაბილიტაციაზე, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასის ფონდი გაიზრდება 13180 ლარით, აქტივების მუხლის 25000 ლარით და მერიის ხელფასის ფონდის 40680 ლარით შემცირების ხარჯზე. მან აქვე განმარტა, რომ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1 500 000 ლარი მოხმარდება როგორც გაბიონების მოწყობას ასევე სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N42 (14.08.2019)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ვლადიმერ ნანაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო